ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის №01-06/07
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: ზაზა დავითაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: ზაზა დავითაძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

„„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106[1]-ე და 106[5]-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- ივლისი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- ივლისი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2024 წლის -- ივლისის დღის 18:00 საათამდე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2024 წლის -- ივლისს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის -- ივლისი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -
2024 წლის - - ივნისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 03/09/2018, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.134.016278) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:
დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;
დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;
დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;“

„ ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%; “

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ
„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება (N2587-XIმს-Xმპ; 9.02.2023).

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან (N2587-XIმს-Xმპ; 9.02.2023) გამომდინარე „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია დაამტკიცოს და ცვლილება შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრასთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტში, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა ახლებურად, კერძოდ:

„დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

„ ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%; “

დადგენილების მე-2 მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2024 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩა გაგრძელდეს მდინარე წონიარისისწყალზე არსებულ ხიდამდე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

ა) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

ბ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვიმმართველობის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მოთხოვნათა შესრულება.

ა.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში მე-3 ქუჩის მდინარე წონიარისისწყალზე არსებულ ხიდამდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

ა.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება ახალი განკარგულების მიღება - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის მდინარე წონიარისისწყალზე არსებულ ხიდამდე გაგრძელების შესახებ.

აღნიშნული განკარგულების მიღებას საფუძვლად უდევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 23 მაისის №109903 წერილი (შემოსული დოკუმენტი №04-95241444-95, 23.05.2024 წ.) და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა.

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების პროცესში ადგილი არ ჰქონია კონსულტაციის მიღებას.

დ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებაში არ ყოფილა გაწეული რეკომენდაციები.

დ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ზ)ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით. კომისია შედგება საკრებულოს 8 წევრისაგან.

კომისია საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით, ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 5 კომისიის სხდომა, სადაც განიხილულ იქნა საკითხები,რომელთან დაკავშირებით კომისიამ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარადგინა დასკვნები.

1.ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის წმინდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი.

აღნიშნული საკითხი კომისიის მიერ იქნა შესწავლილი, ჩატარდა გასვლითი სხდომა, მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრა და კომისიამ წარადგინა დასკვნა: ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილება არეგულირებს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პირობებსა და პროცედურებს.

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: 21.06.31.217) ,,წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი“-ს სახელის მინიჭება.ამის შემდეგ საკითხი გაივლის ყველა სამართლებრივ პროცედურას და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საკრებულოს მიერ.

2. ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალურ პარკში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერეს“-ს თავმჯდომარის წინადადება.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერეს“-ს თავმჯდომარის რეზო ბერიძის მიერ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ ბიუსტის განთავსება უნდა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით.

,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბერის №25 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ

მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი დადგენილი წესით განსახილველად გაგზავნოდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ საკითხის გადაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოედგინათ დასკვნა ქანდაკების პროექტის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, ხოლო დასკვნები დადგენილი წესით წარმოდგენილიყო საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში.

3. სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვის ცენტრის ინფორმაციის მოსმენა.

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრიდან გამოითხოვა ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის შესახებ.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე განხილულიყო საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

4. მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი იყო ახალი რეგულაციის შემოღება კერძოდ: სპორტის სფეროში მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და გუნდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესება, მისი გაცემის წესის დამტკიცება და ფულადი ჯილდოს ოდენობები განისაზღვრა საპრიზო ადგილების მიხედვით. წესი ვრცელდება საქართველოს ან/და ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტული წრეებში აღზრდილ და ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე.

კომისიას განკარგულების პროექტზე შენიშვნები არ გააჩნდა და მიზანშეწონილად მიიჩნია „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტი განხილულიყო საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

5. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კომისიის მიერ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან ერთად განხილულ იქნა სოციალური პაკეტი და მერიაში გაიგზავნა 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ქვეპროგრამებში გასათვალისწინებელი შემდეგი წინადადებები:

1. **ოპერაციული მკურნალობის თანდაფინანსების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 04)** გათვალისწინებული პირობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, გაეწიოს დახმარება დარჩენილი თანხის 100% და 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 80%-ით, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

2. **მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 02 10)** გათვალისწინებული დახმარების თანხა გაიზარდოს 50 ლარით და განისაზღვროს შემდეგი სახით: 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარების შემთხვევაში, მუდმივად ეტლით მოსარგებლე, ასევე მუდმივად მწოლიარე, თვეში 250 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინების შემთხვევაში ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 66000 ლარით და შეადგენს 246000 ლარს.

3. **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 05)** გაფართოვდეს და დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად განისაზღვროს ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 120 000-ს არ აღემატება. სოციალური სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლთა სარეიტინგო ქულებიც 100 000-დან 120 000-ს შეადგენს, არის 90 (±10) ოჯახი, შესაბამისად, ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 20 000 ლარით.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება,რომელიც გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებელს.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კომისია აქტიურობით და ეფექტური მიდგომებით მომავალშიც განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2024 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

№	**განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები**	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
6	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის,ინფრასტრუქტურული პროეტების და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების მდგომარეობის, სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოსმენა და ანალიზი.	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	შპს „ქედის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრში“ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს. „ქედის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი
8	ააიპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ს დირექტორი
9	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2024 წლის მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

10	სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
11	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
12	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტალი სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე